




# Gnomon Wise

კვლევითი ინსტიტუტი



8 დეკემბერი, 2019



წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია კვლევითი ინსტიტუტის „გნომონ ვაიზის“ (GNOMON WISE) მიერ.

**ავტორი:**



ირინა გურგენაშვილი

მისამართი: მ. კოსტავას 77 ა, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 55 22 22 (325)

[www.gnomonwise.org](http://www.gnomonwise.org)

უკანასკნელ წლებში განათლების სფეროში საკმაოდ მზარდ ინტერესს იწვევს საერთაშორისო კვლევები, რომელთა უმთავრესი მიზანი სხვადასხვა ქვეყნებში მოსწავლეთა საგანმანათლებლო მიღწევების შეფასებაა (Naec 2009, 3). როდესაც ავტორიტეტული კვლევითი ორგანიზაცია აქვეყნებს ანგარიშს და აჯამებს მონაცემებს, მაგალითად რომელი ქვეყნის მოსწავლეები აჩვენებენ წიგნიერების კომპონენტში მაღალ ქულებს ან რომელ ქვეყანას აქვს ყველაზე უარესი შედეგები მათემატიკისა თუ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების მიმართულებით, როგორც წესი, კვლევაში მონაწილე ქვეყნებში იწყება ხოლმე დისკუსიები (Alessio and Watkins 2009, 233). სფეროს ექსპერტები მსჯელობენ თუ რამდენად ადეკვატური და შედეგებზე ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმა, ან რამდენად შესაბამისია მასწავლებელთა სწავლების მეთოდები, როგორ უნდა შეცვალოს სახელმწიფომ საგანმანათლებლო პოლიტიკა და ა.შ. განათლების სფეროში კონკრეტული კვლევის შედეგებზე მსგავსი რეაქციონისტული განხილვები ახალი ნამდვილად არ არის (Johnes 1994, 2005) და თან ახლავს ყოველ ახალ შედარებით კვლევას. ამ კუთხით განსხვავებული არც საქართველოა და ჩვენს საზოგადოებაშიც იწყება ხოლმე განხილვა ყოველ ახალ რეიტინგზე, თუმცა ბევრი განვითარებული ქვეყნისგან განსხვავებით, ქართულ რეალობაში კამათი უფრო მეტად პოლიტიკური სპეკულაციების ფონზე მიმდინარეობს, ვიდრე რეალური პრობლემების ანალიზისკენ არის მიმართული.

2019 წლის 3 დეკემბერს ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ერთ-ერთი კვლევის - მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) ანგარიში გამოქვეყნდა. PISA-ს პროგრამაში საქართველოს მოსწავლეებმა პროგრამის საშუალო ქულასთან შედარებით, დაბალი შედეგები აჩვენეს, რასაც საზოგადოების და სხვადასხვა აქტორების მხრიდან კრიტიკა და საქართველოს განათლების სისტემის უარყოფითი შეფასებები მოჰყვა. ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ საქართველოს მოსწავლეთა შედეგების ანალიზზე, აუცილებელია, მოკლედ მიმოვიხილოთ თუ რა არის PISA-ს პროგრამა, რა მნიშვნელობა აქვს მას და ზოგადად, რატომ არის გასათვალისწინებელი განათლების სხვადასხვა კომპონენტების მსგავსი შედარებითი კვლევები.

საგანმანათლებლო სისტემის შედარებითი კვლევების მიმართულებით ოპერირებს და დღეისათვის ბაზარზე ლიდერია - ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD) და საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია (IEA). აღნიშნულ ორგანიზაციებს

განათლების მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი გამოცდილება აქვთ და საერთაშორისო საზოგადოებაშიც დიდ ნდობას იმსახურებენ (Goldstein 2004, 319). ამ ორგანიზაციების სხვადასხვა კვლევებიდან საქართველო 2006 წლიდან მონაწილეობს 5 მათგანში.<sup>1</sup> აღნიშნული კვლევებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი PISA-ს კვლევაა, რადგან განსხვავებით სხვა კვლევებისგან, PISA უფრო ფართო პროგრამას ფარავს და აერთიანებს როგორც ზოგადი წიგნიერების, ისე მათემატიკური და საბუნებისმეტყველო წიგნიერების კომპონენტებს (Turner and Adams 2007, 238). ზოგადი წიგნიერების ნაწილი გულისხმობს, რომ მონაწილეს აქვს შესაბამისი უნარი, რათა გაიგოს/შეიმეცნოს წაკითხული ტექსტი, აიმაღლოს ცოდნა და ამ უნარით მოახერხოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობა. რაც შეეხება მათემატიკურ წიგნიერებას, ეს არის ინდივიდის უნარი გააცნობიეროს მათემატიკის როლი თანამედროვე სამყაროში და გამოიყენოს ის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საბუნებისმეტყველო წიგნიერება გულისხმობს მონაწილის მეცნიერულ ცოდნას და ამ ცოდნის შესაბამისად გამოყენების უნარს (Naec 2009, 8). გარდა ამისა, PISA მეტად ანგარიშგასაწევია, რადგან იგი კონცენტრირდება განათლების ზოგად პოლიტიკაზე და ადგენს სწავლა სწავლების პროცესის განმსაზღვრელ სხვადასხვა ფაქტორებს. PISA აჩვენებს მოსწავლეთა სიტუაციურ უნარებს და მათ ხელთ არსებული ცოდნის საფუძველზე ინფორმაციის ანალიზის, მსჯელობისა და ეფექტური კომუნიკაციის შესაძლებლობებს წარმოაჩენს. პროგრამის რეგულარული ჩატარება კი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში არსებული სიტუაციის დროში გაანალიზების საშუალებას იძლევა (Naec 2017, 7).

PISA 2000 წლიდან ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ტარდება და კვლევის ყოველი ახალი ციკლისთვის, ზემოთ აღნიშნული სამი კომპონენტიდან მეტი აქცენტი გადადის ერთ-ერთ კომპონენტზე.<sup>2</sup> PISA-ში 15 წლის მოზარდები მონაწილეობენ და რომელ კომპონენტზეც არ უნდა კეთდებოდეს მეტი აქცენტი, ის ზომავს ამ მოზარდების უნარს გაუმკლავდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებულ გამოწვევებს იმ ცოდნის გამოყენებით, რომელსაც მათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება აძლევს. თუ რომელიმე ქვეყნის მოსწავლეები პროგრამაში დაბალ

---

<sup>1</sup> IEA - მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების შედარებითი კვლევა (TIMSS); მასწავლებელთა განათლებისა და განვითარების საერთაშორისო კვლევა (TEDS-M); სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა (TALIS); წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS).

OECD - მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA).

<sup>2</sup> მაგალითად, 2009-2010 წლის PISA-ში მთავარი კითხვის ზოგადი უნარების შემოწმება იყო, 2012 წელს ძირითადი ორიენტირი - მათემატიკაზე, ხოლო 2015 წელს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე იყო.

კვალიფიკაციას აჩვენებენ, ეს იმის მანიშნებელია, რომ ამ ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები შესაძლოა საკუთარ მოვალეობას ჯეროვნად ვერ ასრულებდნენ (Hopfenbeck, Lenkeit and others 2017, 335). თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის მსოფლიოში არ/ვერ ტარდება ისეთი შედარებითი კვლევა, რომელიც სრულად აჩვენებს შესადარებელი სახელმწიფოებიდან, კონკრეტული ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ანატომიას და რომელსაც შეუძლია გადაჭრით თქვას, რომ მოცემულ ქვეყანას მთლიან განათლების სისტემაში სერიოზული ჩავარდნები აქვს და სხვას - არა. ნებისმიერი ის კვლევა, რომელიც ტარდება OECD-ის, IEA-ს ან სხვა ორგანიზაციების მიერ, საბოლოო ჯამში, მაინც საგანმანათლებლო სისტემის კონკრეტულ კომპონენტებზე კონცენტრირდება და ნაკლებად აქვს პრეტენზია შეაფასოს მთლიანად სისტემა თავისი ძლიერი თუ სუსტი მხარეებით (Forestier and Adamson 2017, 359). შესაბამისად, მსჯელობა, რომ PISA-ზე დაყრდნობით, მაგალითად, ყაზახეთს უფრო ძლიერი განათლების სისტემა აქვს, ვიდრე საქართველოს - მსუბუქად, რომ ვთქვათ, ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციაა, ყოველ შემთხვევაში, PISA აღნიშნულს ვერ დაგვიდასტურებს, მას მხოლოდ 15 წლის მოზარდების კომპეტენციის და შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის შეფასების ნაწილში შეგვიძლია ვენდოთ.

საქართველო PISA-ს კვლევაში 2009 წლიდან ჩაერთო და 2018 წლის ჩათვლით ჯამში 3-ჯერ მიიღო მონაწილეობა. 2012 წელს ქვეყანამ უარი განაცხადა PISA-ში ჩართვაზე, თუმცა ამის ოფიციალური მიზეზი არ დასახელებულა. 2009 წლის PISA-ში 74 ქვეყანა და ტერიტორიული ერთეული მონაწილეობდა, ამ წელს PISA-ს საშუალო ქულა წიგნიერებაში 493 იყო, საბუნებისმეტყველო წიგნიერებაში - 501, ხოლო მათემატიკურ წიგნიერებაში - 496. სამივე კომპონენტში საქართველომ საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი დააფიქსირა, მისი ქულა ზოგად წიგნიერებაში - 374 იყო, საბუნებისმეტყველოში - 373, ხოლო მათემატიკურში - 379 ქულა (PISA 2009, 1-21). 2009 წლის კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში მოსწავლეთა მხოლოდ 38% ჰქონდა წერა-კითხვის რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი. მოსწავლეთა 40%-ზე მეტი ვერ ატარებდა მარტივ მოქმედებებს მათემატიკაში, ხოლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს საბაზისო დონეზე მოსწავლეთა მხოლოდ 34% ფლობდა. რა თქმა უნდა, ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ მათ შეეძლოთ მათემატიკასთან, მეცნიერებასთან და ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში ლავირება (UNCEF 2014, 6).

2015 წელს PISA საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე კონცენტრირდა<sup>3</sup>. საქართველომ საშუალო ქულა გაიუმჯობესა და 411 ქულა მიიღო, თუმცა ის მაინც ჩამორჩებოდა PISA-ს საშუალო - 493 ქულას. რაც შეეხება წიგნიერებას, საქართველო იმ 41 ქვეყანას შორის აღმოჩნდა, სადაც კითხვაში მოსწავლეთა მიღწევების საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა OECD-ის საშუალოს. საქართველოს რეიტინგული ადგილი 59-64 ადგილებს შორის დიაპაზონში მოექცა. ზოგადი წიგნიერების ნაწილში მოსწავლეთა 52%-მა დაბალი მაჩვენებელი დააფიქსირა, ხოლო მაღალ მაჩვენებელს მხოლოდ 1%-მა მიაღწია (PISA 2015, 1-32).

რაც შეეხება 2018 წლის PISA-ს კვლევას, რომლის შედეგებიც, როგორც უკვე აღინიშნა, 2019 წლის 3 დეკემბერს გამოქვეყნდა, მასში მონაწილეობა მსოფლიოს 79 ქვეყანამ მიიღო, მათ შორის საქართველომაც. 2018 წელს, 2009 წლის მსგავსად, პროგრამა კვლავ ზოგად წიგნიერებაზე იყო ორიენტირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ დავალებათა უმეტესობა მოსწავლის წიგნიერებას (წაკითხულის გააზრება/გამოყენება) ამოწმებდა, თუმცა, გასული წლების კვლევების მსგავსად, შემოწმდა მოსწავლეთა კომპეტენცია მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების წიგნიერების კუთხითაც. საქართველოდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო 326 სკოლის 5 572-მა მოსწავლემ. თითოეულ კომპონენტში, 2015 წელთან შედარებით, საქართველომ პოზიციები გაიუარესა. წიგნიერებაში საქართველოს მოსწავლეების მაჩვენებელი 380-ია, PISA-ს საშუალო კი - 487 ქულა. მათემატიკურ ნაწილში საქართველოს საშუალო 398 ქულაა, ხოლო PISA-ს საშუალო - 489. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საქართველომ 383 ქულა აჩვენა, საერთაშორისო საშუალო აქაც 489 ქულაა (PISA 2018, 1-45). როგორც მონაცემებიდან ვხედავთ, საქართველოს მოსწავლეები ყველა კომპონენტში არამხოლოდ მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ საერთაშორისო საშუალოს, გასულ კვლევასთან შედარებით, ბევრად გაუარესებული მონაცემები დააფიქსირეს.

საქართველოს რეალობაში, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამა მთლიანად ცენტრალიზებულია და ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით იმართება, PISA-ს დაბალი შედეგები გაცილებით უფრო მეტ პრობლემაზე მიუთითებს, ვიდრე ცალკეული სკოლის ან/და მასწავლებლის მიდგომების არაეფექტურობაა. დაბალი შედეგები შესაძლოა გვაჩვენებდნენ, რომ ცენტრალიზებულ სისტემას არ შესწევს უნარი უკეთ განსაზღვროს სკოლებისა თუ

---

<sup>3</sup> 2009 წელს კონცენტრირებული იყო ზოგად წიგნიერებაზე, 2012 წელს მათემატიკაზე, თუმცა, როგორც აღინიშნა, საქართველომ 2012 წლის კვლევაში მონაწილეობა არ მიიღო, ხოლო 2015 წელს PISA საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე იყო ორიენტირებული.



მოსწავლეების საქროებები და უზრუნველყოს აუცილებელი ინკლუზიური მიდგომები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ PISA-ში მაღალ ქულებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სკოლის ინფრასტრუქტურა, შესაბამისი და მოზარდების გემოვნებაზე მორგებული სასკოლო ბიბლიოთეკები, აღჭურვილი სამეცნიერო ლაბორატორიები და ტექნოლოგიებზე მეტი წვდომა (Adkins and Brendler 2015, 129) რაც საქართველოში, ჯერჯერობით, სრულად მიღწეული არ არის. საქართველოს მასწავლებელთა უმეტესობა, მაღალი კომპეტენციის და პროფესიული უნარების მატარებლები რომც იყვნენ (რაც, სამწუხაროდ, არ დასტურდება, თუ გავითვალისწინებთ პედაგოგთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი გამოცდების შედეგებს და რაოდენობრივად მათ განაწილებას მასწავლებელთა სტატუსების მიხედვით<sup>4</sup>), მათ არ აქვთ საკმარისი დამოუკიდებლობა, რათა გვერდი აუარონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტებს და თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილები წარმართონ. მათ აგრეთვე, ხშირ შემთხვევაში, არ აქვთ შესაძლებლობა იმ მასალაზე წვდომის, რაც შესაძლოა რეალურად ჭირდებოდეს თანამედროვე მოსწავლეს.

PISA-ს შედეგების გაანალიზება საქართველოს საგანმანათლებლო სისტემისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ განათლების სამინისტროს არ გააჩნია სხვა უფრო რეალური ინსტრუმენტი ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში არსებული მდგომარეობის შესაფასებლად. 2019 წელს საატესტატო გამოცდების გაუქმებით, სამინისტრომ საკუთარ თავს წაართვა ის ერთადერთი რაოდენობრივი მაჩვენებელიც კი, რომელიც, ასე თუ ისე, მშრალ მონაცემებს მაინც გვაძლევდა მოსწავლეთა ზოგადი კომპეტენციების შესახებ. რთული სათქმელია, ამ ვითარებაში როგორ უნდა გაუმჯობესდეს მოსწავლეთა ზოგადი შესაძლებლობები. მით უმეტეს, რომ განათლების სამინისტროს მდგომარეობის გამოსწორების ერთიანი ხედვა არ წარმოუდგენია. თითქმის ყოველ წელს ვისმენთ სტატიკურ ინფორმაციას სხვადასხვა რეფორმების დაანონსების შესახებ, თუმცა საქართველოს რეალობაში ხშირად ეს რეფორმები ვერ ხორციელდება - მიზეზი მარტივია, როგორც წესი, მკაცრად ცენტრალიზებულ სისტემაში ეს რეფორმები ცალკეულ მინისტრსა და მის გუნდზეა მიბმული, სტატისტიკის თანახმად კი, როგორც წესი, საქართველოში ყველაზე ხშირად, განათლების მინისტრი იცვლება. ახლანდელი მინისტრი მიხეილ ჩხენკელი,

---

<sup>4</sup> საქართველოს საჯარო სკოლების 55 728 პედაგოგიდან, პრაქტიკოსია 22 791 მასწავლებელი, უფროსი - 26 348, წამყვანი - 2 889, მენტორი - 230, ხოლო 3 470 პედაგოგს სტატუსი არ აქვს.

რომელიც ამ თანამდებობაზე, უკვე მეორედ<sup>5</sup>, 2019 წლის 13 ნოემბერს დაინიშნა, 2004-2019 წლების შუალედში უკვე მე-13 მინისტრია.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ რომელიმე კონკრეტული შედარებითი კვლევის შედეგების სათანადო გაანალიზება და ამ შედეგების გასაუმჯობესებლად მიმართული რეფორმების მიზნობრიობის შეფასება, ვერ განხორციელდება, მანამდე, ვიდრე საქართველოში არ იქნება შიდა და საერთაშორისო კვლევებზე დამყარებული, ფართო დისკუსიებით მიღებული და საუკეთესო მიზანზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ხედვები. ამავდროულად, აუცილებელია, რომ ეს ხედვები და რეფორმები იყოს დროში განგრძობადი და მათი განხორციელება დამოკიდებული არ იყოს კადრების ცვლილებაზე. დღევანდელი რეალობაა, რომ განათლების ყოველი ახალი მინისტრი ახალ რეფორმებს გვპირდება, თუმცა ისინი თანამდებობას დიდხანს არ იკავებენ და მათი წასვლის შემდეგ, საგანმანათლებლო სისტემა საწყის პოზიციას უბრუნდება.

---

<sup>5</sup> მიხეილ ჩხენკელი საქართველოს განათლების მინისტრის პოზიციას პირველად 2017-2018 წლებში იკავებდა. 2018 წლის ივლისში მიხეილ ჩხენკელი მინისტრის პოზიციაზე მიხეილ ბატიაშვილმა შეცვალა, 2019 წლის 13 ნოემბერს ბატიაშვილი თანამდებობიდან გადადგა და მინისტრი კვლავ მიხეილ ჩხენკელი გახდა.



## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF). 2013. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) საქართველოს მონაცემთა ანალიზი. <https://www.unicef.org/georgia/media/1941/file/PISA> (05.12. 2019).
2. ბრეგვაძე, თამარ და სოფო ბახუტაშვილი. 2017. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA 2015). შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (Naec.ge). <https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/PISA-2015-angarishi.pdf> (04. 12. 2019).
3. მჟავანაძე, ნათია და ნათია ანდღულაძე. 2009. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA). შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (Naec.ge). [https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pisa\\_report\\_2009.pdf](https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pisa_report_2009.pdf) (05. 12. 2019).
4. Adkins, Denise and Beth M. Brendler. 2015. Libraries and reading motivation: A review of the Programme for International Student Assessment reading results. *International Federation of Library Associations and Institutions* 41, No. 2.
5. Alessio, Simona and Amanda Watkins. 2009. International Comparisons of Inclusive Policy and Practice: are we talking about the same thing. *Research in Comparative and International Education* 4, No. 3 233-249.
6. Forestier, Katherine and Bob Adamson. 2017. A critique of PISA and what Jullien's plan might offer. *A Journal of Comparative and International Education* 47, No. 3. <https://doi.org/10.1080/03057925.2016.1273095> (04. 12. 2019).
7. Goldstein, Harvey. 2004. International comparisons of student attainment: some issues arising from the PISA study. *Assessment in Education: Principles, Policy & Practice* 11, No. 3 (November). <http://dx.doi.org/10.1080/0969594042000304618> (05.12 2019).
8. Hopfenbeck, Therese, Lenkeit, Jenny, El Masri, Yasmine, Cantrell, Kate, Ryan, Jeanne and Jo-Anne Baird. 2017. Lessons Learned from PISA: A Systematic Review of Peer-Reviewed Articles on the Programme for International Student Assessment. *Scandinavian Journal of Educational Research* 62, No. 3 (January). <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/00313831.2016.1258726> (04. 12. 2019).
9. Johnes, Geraint. 1994. Research Performance Measurement: what can international comparisons teach us? *Comparative Education* 30, No. 3. <https://www.jstor.org/stable/3099310> (04. 12. 2019).
10. OECD. 2009. PISA 2009 Results: Executive Summary. <https://www.oecd.org/pisa/pisaproducts/46619703.pdf> (05. 12. 2019).
11. OECD. 2015. PISA 2015 Results in Focus. <https://www.oecd.org/pisa/pisa-2015-results-in-focus.pdf> (05. 12. 2019).
12. OECD. 2018. PISA 2015 Results. <https://www.oecd.org/pisa/publications/pisa-2018-results.htm> (04. 12. 2019).
13. Turner, Ross and Raymond J. Adams. 2007. The Programme for International Student Assessment: An Overview. *Journal of applied measurement* 8, No.3 (February). [https://www.researchgate.net/publication/6035434\\_The\\_Programme\\_for\\_International\\_Student\\_Assessment\\_an\\_overview](https://www.researchgate.net/publication/6035434_The_Programme_for_International_Student_Assessment_an_overview) (04. 12. 2019).